

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს განცხადება

ა/წ 16 ივნისის გაზეთ „24 საათში“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ გამოქვეყნდა ინფორმაცია „შიდა წყალსატევებში თევზჭერის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარების შესახებ“ აუქციონში გამოცხადებულ №2; №6; №7; №9; №10 და №12 ლოტებზე სამინისტროში არ იქნა წარმოდგენილი არც ერთი განცხადება მონაწილეობის მიღების თაობაზე. საქართველოს ეკონომიკის მინისტრის 2008 წლის 4 აპრილის №1-1/480 ბრძანებით დამტკიცებული „სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვის, სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ“ დებულების მე-3 მუხლის შესაბამისად, აღნიშნულ ობიექტებზე აუქციონი ითვლება ავტომატურად გამოცხადებულად. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ვაქვეყნებთ №2; №6; №7; №9; №10 და №12 ლოტებზე აუქციონის გამოცხადების შესახებ ინფორმაციას შესაბამისი პირობებითა და სარგებლობისათვის დადგენილი მოთხოვნებით

№N ოცნაშ	ობიექტი	სახეობა	დასაჭერი თევზის მარაგი პირველი წლისათვის	საწყისი ფასი (ლარებში)	ბე	ბიჯი
2	ახმაზის ტბა	კარასი	1.2	10000	2000	1000
სულ			1.2			
6	სამსარისის ტბა	ცისარტყელა კალმახი	2	100160	20032	10016
სულ			2			
7	უძირო ტბა	კობრი	0.204	10000	2000	1000
		ჭრელი სქელშუბლა	0.081			
		თეთრი სქელშუბლა	0.009			
		თეთრი ამური	0.0051			
სულ			0.2991			
9	კაიშაურის ტბა	კარასი	0.036	10000	2000	1000
		კობრი	0.059			
		თეთრი ამური	0.005			
		სულ				

10	ალგეთის წყალსაცავი	კობრი	7.84	100560	20112	10056
		კარასი	4.96			
		ხრამული	1.3			
სულ			14.1			
12	სიონის წყალსაცავი	თრისა (შამაია)	10	230866	46173	23087
		კარასი	11.16			
		კობრი	3			
სულ			24.6			
ლიცენზიის გამცემი ორბანოს დასახელება		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო				
აუქციონის ჩატარების ადგილი		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, ჭანტურიას ქ. №12 ტელ: 99 11 29; 99 10 33 აუქციონი ტარდება აუქციონში მონაწილეობის მიღების თაობაზე პირველი განაცხადის შემოტანიდან მე-4 სამუშაო დღეს, 12 საათზე, ხოლო განცხადებების მიღება მთავრდება აუქციონის ჩატარების წინა სამუშაო დღეს.				
ბიჯი შეაღბენს საფჯისი ფასის 10%-ს						
სალიცენზიო მოსაკრებელი		ლიცენზიის მაძიებელი პირი ვალდებულია გადაიხადოს თითოეულ ობიექტზე სალიცენზიო მოსაკრებელი წინასწარ და მისი გადახდის დამადასტურებელი საბუთი დაურთოს აუქციონში მონაწილეობის მისაღებად წარმოდგენილ განცხადებას. მოსაკრებელი შეადგენს 200 ლარს. სალიცენზიო მოსაკრებლის ანგარიშის ნომერი: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (თბილისი), ანგარიშის ნომერი 200122900, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: 220101222, სახაზინო კოდი: 300773040				
დოკუმენტაციასთან და მოსაკრებლის შვითართან ერთად წარმოადგინოს “ბე“-ს გადახდის შვითართი		„ბე“-ს გადახდის ანგარიში: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (ცენტრალიზებული შემოსულობები) ანგარიშის ნომერი: 200122900, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: 220101222, სახაზინო კოდი: 302005000				
შიდა წყალსატევებში თევზჭერის ლიცენზიის მისაღებად წარსაღბმენი დოკუმენტაცია		განცხადება, აუქციონში მონაწილეობის თაობაზე (სასურველი ლოტის მითითებით). ა) კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდ. მეწარმისათვის – სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერი. ბ) ფიზიკური პირისათვის – იდენტიფიკაციისათვის დამადასტურებელი კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლები. გ) საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის – სადამფუძნებლო საბუთების დამოწმებული ასლები. დ) სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის ქვითარი. ე) „ბე“-ს გადახდის ქვითარი.				
თანხის გადახდის პირობები		აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდის ვადა განისაზღვრება საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 4 აპრილის №1-1/480 ბრძანებით დამტკიცებული „სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვის, სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ“ დებულების მე-11 მუხლის შესაბამისად. მოცემული დროის მონაკვეთში თანხის სრულად გადაუხდელობის შემთხვევაში, გამარჯვებულს ერთმევა გამარჯვებულის სტატუსი და მასზე ვრცელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებ ბუ ლი				

	პასუხისმგებლობა.
ლიცენზიის მოქმედების ვადა	20 წელი
სალიცენზიო პირობები	
<p>1. ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია:</p> <p>ა) ლიცენზიის მიღებიდან ერთი წლის ვადაში გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს წარუდგინოს დასკვნა წყლის ობიექტის ეკოლოგიური, ბიოლოგიურ-ეკონომიკური, მათ შორის წყლის ხარისხის გამოკვლევის შესახებ და მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად შედგენილი მართვის 5 წლიანი გეგმა (მისი ვადის გასვლის შემდეგ ახალი 5-წლიანი გეგმები ლიცენზიის ვადის მიხედვით), რომელიც თანხმდება საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან;</p> <p>ბ) შეასრულოს მართვის გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებები;</p> <p>გ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აღკვეთოს და შესაბამის ორგანოებს დროულად მიაწოდოს ინფორმაცია ლიცენზიით განსაზღვრულ წყლის ობიექტზე სამართალდარღვევის ფაქტების შესახებ;</p> <p>დ) ისარგებლოს წყლის ობიექტებით და მათში არსებული რესურსით მხოლოდ ლიცენზიით განსაზღვრული მიზნებითა და ფარგლებში;</p> <p>ე) დაიცვას გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ დადგენილი თევზჭერის ვადები და წესები;</p> <p>ვ) დაიცვას ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ დადგენილი თევზჭერის კვოტები;</p> <p>ზ) უზრუნველყოს წყლის ობიექტში არსებული მაღალი საკონსერვაციო ღირებულების მქონე თევზისა და სხვა ჰიდრობიონტების მრავალფეროვნების და სიცოცხლისუნარიანი პოპულაციების შენარჩუნება, განახორციელოს მათი აღწარმოების პროგრამები.</p> <p>თ) უზრუნველყოს სარეწაო ჟურნალის დადგენილი ფორმით, აგრეთვე მეურნეობაში თევზის რესურსით სარგებლობის, აღწარმოების და დაცვის შიდასააღრიცხვო დოკუმენტაციის წარმოება;</p> <p>ი) არ დაუშვას წყალსატევში თევზის ახალი სახეობის შეყვანა და გამრავლება, ასევე წყალსატევის დათევზიანება გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან შეთანხმების გარეშე;</p> <p>კ) გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება გარემოს დაცვის ინსპექციას თევზჭერის პერიოდში ყოველი თვის 5 რიცხვამდე მიაწოდოს ინფორმაცია მოპოვებული თევზისა და სხვა ჰიდრობიონტების რესურსის (როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნურად მოშენებულის) შესახებ სახეობებისა და ოდენობების ჩვენებით, ასევე ვალდებულია გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გარემოს დაცვის ინსპექციას ყოველწლიურად კანონით დადგენილ ვადაში წარუდგინოს სრული ანგარიში სალიცენზიო პირობებისა და მართვის გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულებაზე (მათ შორის თევზსამეურნეო ღონისძიებების გატარების, თევზის რესურსის მარაგების აღრიცხვის, წყალსატევის თევზპროდუქტიულობის და თევზის რესურსით სარგებლობის შესახებ სახეობებისა და</p>	

ოდენობების მიხედვით);

ლ) უზრუნველყოს საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი ცხოველთა სამყაროს ობიექტების დაცვისა და ბუნებრივი აღწარმოების მიზნობრივი პროგრამის შემუშავება და განხორციელება;

მ) ლიცენზიანტი ლიცენზიის გაცემის წლის მომდევნო წელს და შემდეგ ყოველწლიურად ეკონომიკური განვითარების სამინისტროში წარადგენს შესაბამის მოთხოვნას თევზის რესურსების მოპოვების კვოტის დამტკიცების თაობაზე, რომელშიც უნდა აისახოს ინფორმაცია თევზის რესურსის მარაგის შესახებ, რომელიც შეფასებულია შესაბამისი კვლევის საფუძველზე, წყალსატევის თევზპროდუქტიულობისა და თევზის რესურსით სარგებლობის შესახებ სახეობებისა და ოდენობების მიხედვით, რომელსაც ეკონომიკური განვითარების სამინისტრო უზრუნველყოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს და მასთან შეთანხმებით ადგენს თევზჭერის კვოტას;

ნ) შეწყვიტოს თევზჭერის ობიექტებით სარგებლობა და დაუყოვნებლივ აცნობოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, ვეტერინარულ, სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიურ სამსახურებს თევზისა და სხვა ჰიდრობიონტების დაავადების, მათი საბინადრო გარემოს გაუარესების, განადგურების საშიშროების წარმოშობისა და დაღუპვის შესახებ განხორციელოს დაავადებების პროფილაქტიკისა და მათთან ბრძოლის კომპლექსური ღონისძიებანი;

ო) ლიცენზიანტი ვალდებულია არააბორიგენტულ სახეობებზე თევზჭერის პერიოდი (დაწყებისა და დამთავრების ვადები) შეატყობინოს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – გარემოს დაცვის ინსპექციას 2 კვირით ადრე;

პ) ლიცენზიანტი ვალდებულია მართვის გეგმით გათვალისწინებული დათევზიანების ღონისძიებების განხორციელების შესახებ (დაწყებისა და დამთავრების ვადები) შეატყობინოს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს 2 კვირით ადრე და მხოლოდ შესაბამისი უფლებამოსილი წარმომადგენლის თანდასწრებით უზრუნველყოს დათევზიანება (რაზეც დგება შესაბამისი აქტი), დათევზიანებისას ასევე სავალდებულოა შესაბამისი ვეტერინარულ-სანიტარული დასკვნა;

ჟ) ხელი არ შეუშალოს მისთვის გადაცემულ წყლის ობიექტზე სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ჩატარებას;

რ) უზრუნველყოს წყალსატევში წყლის რაციონალური გამოყენება და იზრუნოს მისი ხარისხის შესანარჩუნებლად და აღსადგენად. ლიცენზიანტი ვალდებულია დაიცვას წყალსარგებლობის დადგენილი წესები, ნორმები და რეჟიმი. არ დაუშვას თევზის მოხვედრა სამელიორაციო ან/და სხვა სისტემებში, უზრუნველყოს წყლის დაცვა დაბინძურების, დანაგვიანებისა და დაშრეტისაგან, წყლის რესურსებზე მავნე ზემოქმედების თავიდან აცილება და მისი შედეგების ეფექტური ლიკვიდაცია;

ს) გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან შეთანხმების გარეშე არ დაუშვას მის სარგებლობაში არსებულ წყალსატევეზე ან მის წყალდაცვით ზოლში ფსკერდამაღრმავებელი, ასაფეთქებელი სამუშაოების წარმოება, შემსვლელი და გამსვლელი არხების გაყვანა, კანონმდებლობით დადგენილი სათანადო ნებართვის გარეშე მშენებლობა, ნაპირის ამღობვა, დამბებით გადაკვეტვა და სხვა სახის სამუშაოების ჩატარება, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს წყალსატევის რეჟიმის შეცვლა;

ტ) ლიცენზიის მთლიანად გასხვისებისას დაიცვას “ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ”

საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნები;

უ) ლიცენზიის ნაწილის გასხვისებიდან 6 თვის ვადაში ლიცენზიის მფლობელმა და ლიცენზიის მიმღებმა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში უნდა წარმოადგინონ ახალი მართვის გეგმები. ლიცენზიის გასხვისებამდე ლიცენზიის მფლობელმა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას – გარემოს დაცვის ინსპექციას უნდა წარუდგინოს ანგარიში შესრულებული სამუშაოების შესახებ. ლიცენზიის გასხვისებამდე ლიცენზიით განსაზღვრული ტერიტორიის დაცვისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება ლიცენზიის მფლობელს;

ფ) ლიცენზიის ნაწილის გასხვისების შემთხვევაში ლიცენზიანტები წარმოადგენენ განახლებულ მართვის გეგმას (გეგმებს). განახლებული მართვის გეგმის (გეგმების) შეთანხმებამდე ლიცენზიით განსაზღვრულ ფართობზე ბუნებრივი რესურსით სარგებლობა არ დაიშვება;

ქ) ლიცენზიანტი ვალდებულია ლიცენზიის ვადის გასვლის წლისათვის უზრუნველყოს წყალსატევში თევზისა და სხვა ჰიდრობიონტების მართვის გეგმით ან/და დამატებითი სალიცენზიო პირობებით განსაზღვრული აღწარმოების გათვალისწინებით მიღწეული მარაგის არსებობა, ასევე გადააბაროს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ლიცენზიით განსაზღვრული წყლის ობიექტში არსებული ბუნებრივი რესურსი;

ღ) ლიცენზიით დადგენილი ვადის გასვლამდე კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში ლიცენზიის გაუქმებისას ლიცენზიანტი მატერიალურად პასუხისმგებელია წყლის ობიექტის ამ მუხლის „ქ“ პუნქტში მოცემულ მდგომარეობაში მოყვანაზე და შესაბამისი, გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებაზე;

ყ) ლიცენზიანტი ვალდებულია შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წყლის დაცვის და გამოყენების, ასევე ცხოველთა სამყაროს ობიექტებით სარგებლობის სხვა შესაბამისი მოთხოვნებიც;

2. ლიცენზიანტი ვალდებულია აანაზღაუროს სალიცენზიო პირობების კონტროლის განხორციელებისას ჩატარებული სამეცნიერ-კვლევების ხარჯები, რომელთა საფუძველზედაც დადასტურდა ლიცენზიის მფლობელის მიერ სალიცენზიო პირობების ან/და გარემოსდაცვითი კანონმდებლობის სხვა მოთხოვნათა დარღვევა;

3. შიდა წყალსაცავებსა და ტბებში წყლის დონის რეგულირება განხორციელდეს მესაკუთრესთან შეთანხმებით;

დამატებითი სალიცენზიო პირობები:

1. ტბების მიხედვით 2010 წლის თევზჭერის სეზონისათვის თევზის რესურსის მოპოვების კვოტა განსაზღვრულია შემდეგ სახეობებზე და ოდენობებით:

ა) ლიცენზიის გაცემის წელს **ალგეთის** წყალსაცავისათვის შესაძლებელია თევზის რესურსის მოპოვების კვოტა განისაზღვროს შემდეგი სახეობის თევზებზე შემდეგი ოდენობით:

სულ მოსაპოვებელი თევზის რესურსი – შეადგენდეს 14100 კგ-ს, მათ შორის: კობრი – 7840 კგ; კარასი – 4960 კგ; ხრამული 1300 კგ.

ბ) ლიცენზიის გაცემის წელს **ახმაზის ტბისთვის** შესაძლებელია თევზის რესურსის მოპოვების კვოტა განისაზღვროს შემდეგი სახეობის თევზზე შემდეგი ოდენობით:

სულ მოსაპოვებელი თევზის რესურსი შეადგენს 1.2 ტონას. კვოტა მთლიანად

წარმოდგენილი უნდა იყოს კარასით.

გ) ლიცენზიის გაცემის წელს **სამსარის ტბისთვის** შესაძლებელია თევზის რესურსის მოპოვების კვოტა განისაზღვროს შემდეგი სახეობის თევზზე შემდეგი ოდენობით:

სულ მოსაპოვებელი თევზის რესურსი შეადგენდეს 2 ტონას. კვოტა მთლიანად წარმოდგენილია ცისარტყელა კალმახის ხარჯზე.

დ) ლიცენზიის გაცემის წელს **უპირო ტბისთვის** შესაძლებელია თევზის რესურსის მოპოვების კვოტა განისაზღვროს შემდეგი სახეობის თევზებზე შემდეგი ოდენობით:

სულ მოსაპოვებელი თევზის რესურსი – შეადგენდეს 299.1 კგ-ს, მათ შორის: კობრი – 204 კგ-ს, ჭრელი სქელშუბლა 81 კგ-ს, თეთრი სქელშუბლა – 9 კგ-ს, თეთრი ამური – 5.1 კგ-ს.

ე) ლიცენზიის გაცემის წელს **კაიშაურის ტბისთვის** შესაძლებელია თევზის რესურსის მოპოვების კვოტა განისაზღვროს შემდეგი სახეობების თევზებზე შემდეგი ოდენობით:

სულ მოსაპოვებელი თევზის რესურსი შეადგენს - 100კგ-ს, მათ შორის: კარასი – 36 კგ-ს; კობრი – 59 კგ-ს, თეთრი ამური – 5 კგ-ს.

ვ) ლიცენზიის გაცემის წელს **სიონის წყალსაცავისათვის** შესაძლებელია თევზის რესურსის მოპოვების კვოტა განისაზღვროს შემდეგი სახეობის თევზებზე შემდეგი ოდენობით:

სულ მოსაპოვებელი თევზის რესურსი 24.16 ტონა, მათ შორის: თრისა (შამაია)- 10 ტონა, კარასი 11.16 ტონა, კობრი 3 ტონა.

სულ მოსაპოვებელი თევზის რესურსი 17.48 ტონა, მათ შორის: კარასი 11.88 ტონა, თრისა 5.6 ტონა.

2. ლიცენზიანტის მიერ სათანადო სათევზმეურნეო ღონისძიებების წარმართვის შემდგომ:

ალგეთის წყალსაცავისათვის

– ეფექტური სათევზმეურნეო მართვის ორგანიზების, პროდუქტიულობის გაზრდის და იქთიოფაუნის აბორიგენული ფორმების შენარჩუნების მიზნით აღნიშნულ წყალსაცავზე აუცილებელია ლიცენზია გაიცეს 20 წლის ვადით;

სათანადო სათევზმეურნეო ღონისძიებების განხორციელების შემთხვევაში წყალსაცავის თევზის საერთო მარაგი ლიცენზიის გაცემიდან მეოთხე-მეშვიდე წელს უნდა შეადგენდეს მინიმუმ 30 ტონას, ხოლო მერვე წელს და შემდგომ წლებში მინიმუმ 42 ტონას. თევზის საერთო მარაგი მინიმუმ 42 ტონას უნდა შეადგენდეს ლიცენზიის ვადის ამოწურვის დროს;

– სათანადო სათევზმეურნეო ღონისძიებების წარმართვით მეოთხე წელს და შემდგომ წლებში თევზის საერთო მარაგში კარასის წილი უნდა შეადგენდეს მაქსიმუმ 20%, ხოლო სხვა თევზების წილი მინიმუმ 80%. მათ შორის: ხრამული - საერთო მარაგის მინიმუმ – 18%-ს, გოჭა (ველური კობრი) – საერთო მარაგის მინიმუმ 10%-ს, მურწა საერთო მარაგის მინიმუმ – 2%-ს, მტკვრის ნაფოტა საერთო მარაგის მინიმუმ – 2%-ს, ხოლო მდინარის კიბოს საერთო მარაგი უნდა შეადგენდეს მინიმუმ 0,5 ტონას. ასეთივე მდგომარეობაში უნდა იყოს წყალსაცავი ლიცენზიის ვადის ამოწურვის დროს;

ახმაზის ტბისათვის

– ეფექტური სათევზმეურნეო მართვის ორგანიზების, პროდუქტიულობის გაზრდის და იქთიოფაუნის აბორიგენული ფორმების შენარჩუნების მიზნით აღნიშნულ ტბაზე აუცილებელია ლიცენზია გაიცეს 20 წლის ვადით;

– სათანადო სათევზმეურნეო ღონისძიებების განხორციელების შემთხვევაში ტბის თევზის საერთო მარაგი ლიცენზიის გაცემიდან მეოთხე-მეშვიდე წელს უნდა შეადგენდეს მინიმუმ 2 ტონას, ხოლო მერვე წელს და შემდგომ წლებში მინიმუმ 3 ტონას. თევზის საერთო მარაგი

მინიმუმ 3 ტონას უნდა შეადგენდეს ლიცენზიის ვადის ამოწურვის დროს;

– სათანადო სათევზმეურნეო ღონისძიებების წარმართვით მეოთხე წელს და შემდგომ წლებში თევზის საერთო მარაგში კარასის წილი უნდა შეადგენდეს მაქსიმუმ 10%-ს, ხოლო სხვა თევზების წილი მინიმუმ 90%-ს. ასეთივე მდგომარეობა უნდა იყოს ტბა ლიცენზიის ვადის ამოწურვის დროს;

სამსარისის ტბისათვის

– ეფექტური სათევზმეურნეო მართვის ორგანიზების, პროდუქტიულობის გაზრდის და იქთიოფაუნის აბორიგენული ფორმების რეაბილიტაციის მიზნით აღნიშნულ ტბაზე აუცილებელია ლიცენზია გაიცეს 20 წლის ვადით;

– სათანადო სათევზმეურნეო ღონისძიებების განხორციელების შემთხვევაში ტბის თევზის საერთო მარაგი ლიცენზიის გაცემიდან მეოთხე-მეშვიდე წელს უნდა შეადგენდეს მინიმუმ 4 ტონას, ხოლო მერვე წელს და შემდგომ წლებში მინიმუმ 5,5 ტონას. თევზის საერთო მარაგი მინიმუმ 5,5 ტონას უნდა შეადგენდეს ლიცენზიის ვადის ამოწურვის დროს;

– თევზის საერთო მარაგში კარასის წილი უნდა შეადგენდეს მაქსიმუმ 5%, ხოლო სხვა თევზების წილი მინიმუმ 95%-ს, მათ შორის: ტბის (ან ნაკადულის) კალმახი უნდა შეადგენდეს საერთო მარაგის 15%-ს. ასეთივე მდგომარეობაში უნდა იყოს წყალსაცავი ლიცენზიის ვადის ამოწურვის დროს;

უძირო ტბისთვის

– ეფექტური სათევზმეურნეო მართვის ორგანიზების, პროდუქტიულობის გაზრდის და იქთიოფაუნის აბორიგენული ფორმების შენარჩუნების მიზნით აღნიშნულ ტბაზე აუცილებელია ლიცენზია გაიცეს 20 წლის ვადით;

– სათანადო სათევზმეურნეო ღონისძიებების განხორციელების შემთხვევაში ტბის თევზის საერთო მარაგი ლიცენზიის გაცემიდან მეოთხე-მეშვიდე წელს უნდა შეადგენდეს მინიმუმ 0,5 ტონას, ხოლო მერვე წელს და შემდგომ წლებში მინიმუმ 0,7 ტონას. თევზის საერთო მარაგი მინიმუმ 0,7 ტონას უნდა შეადგენდეს ლიცენზიის ვადის ამოწურვის დროს;

– კარასის დასაშვები წილი თევზის საერთო მარაგში უნდა შეადგენდეს მაქსიმუმ 5%-ს, ხოლო მურწა თევზის საერთო მარაგში უნდა შეადგენდეს მინიმუმ 5%-ს.

კაიშაურნის ტბისთვის

– ეფექტური სათევზმეურნეო მართვის ორგანიზების და პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით აღნიშნულ წყალსატევზე აუცილებელია ლიცენზია გაიცეს 20 წლის ვადით;

– სათანადო სათევზმეურნეო ღონისძიებების წარმართვით წყალსაცავის თევზის საერთო მარაგი ლიცენზიის გაცემიდან მეოთხე-მეშვიდე წელს უნდა შეადგენდეს მინიმუმ 300 კგ-ს, ხოლო მე-8 წელს და შემდგომ წლებში მინიმუმ 450 კგ-ს. ასეთივე მდგომარეობაში უნდა იყოს ტბა ლიცენზიის ვადის ამოწურვის დროს;

– სათანადო სათევზმეურნეო ღონისძიებების წარმართვით მეოთხე წელს და შემდგომ წლებში თევზის საერთო მარაგში კარასის წილი უნდა შეადგენდეს მაქსიმუმ 10 %-ს, ხოლო სხვა თევზების წილი მინიმუმ 90 %-ს, ასეთივე მდგომარეობაში უნდა იყოს ტბა ლიცენზიის ვადის ამოწურვის დროს;

სიონის წყალსაცავისთვის

– წყალსაცავის თევზის საერთო მარაგი უნდა შეადგენდეს: ლიცენზიის გაცემიდან მეოთხე-მეშვიდე წელს მინიმუმ 140 ტონას, ხოლო მერვე წელს და შემდგომ წლებში მინიმუმ 200 ტონას. თევზის საერთო მარაგი მინიმუმ 200 ტონას უნდა შეადგენდეს ლიცენზიის ვადის ამოწურვის დროს.

– ლიცენზიის გაცემიდან მეოთხე წელს და შემდგომ წლებში თევზის საერთო მარაგში კარასის წილი უნდა შეადგენდეს მაქსიმუმ 20%-ს, ხოლო სხვა თევზების წილი მინიმუმ 80 %-ს. მათ შორის ადგილობრივი ტბის და ნაკადულის კალმახი საერთო მარაგის მინიმუმ 2%-ს, ხრამული საერთო მარაგის მინიმუმ 4%, მურწა საერთო მარაგის მინიმუმ 0,3%, მტკვრის წვერა საერთო მარაგის მინიმუმ 1%-ს, მტკვრის ნაფოტა საერთო მარაგის მინიმუმ 0,2%. ასეთივე მდგომარეობაში უნდა იყოს წყალსაცავი ლიცენზიის ვადის ამოწურვის დროს;

გამარჯვებულის მიერ სააუქციონე მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში მასზე გაგრძელება კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა